ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

USAID
ამერიკელი ხალხისგან

# ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2018

# 2018 წლის წლიური ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ

## საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

დონორების კოორდინაციის სამსახური
0114, თბილისი, საქართველო, ინგოროყვას 7
ტელ.: (+995 32) 299 09 00
dcu@gov.ge
www.eaims.ge
www.gov.ge

*დათქმა:*
*„ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს“.*

*დათქმა:*
*„ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს“.*

## სარჩევი

დიაგრამების ჩამონათვალი ........ 3
ცხრილების ჩამონათვალი ........ 3
აკრონიმების ჩამონათვალი ........ 4
პრემიერ-მინისტრის წინასიტყვაობა ........ 6
მოკლე მიმოხილვა ........ 8
შესავალი – მიზანი და მეთოდოლოგია ........ 10
თავი 1. მთლიანი სურათი: მოკლედ დახმარების შესახებ ........ 12
თავი 2. დახმარება თემატური სფეროების მიხედვით ........ 18
  ეკონომიკური ზრდა ........ 18
  საგარეო დახმარება: ........ 19
  ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება ........ 22
  საგარეო დახმარება: ........ 22
  სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება ........ 24
  საგარეო დახმარება: ........ 25
  დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება ........ 27
  საგარეო დახმარება: ........ 28
  სხვა დახმარების ნაკადები ........ 29
თავი 3. 2015-2018 წლების შედარება ........ 30
დანართები ........ 34
  დანართი 1 ........ 34
  დანართი 2 ........ 42
  დანართი 3 ........ 44
  დანართი 4 ........ 46
  დანართი 5 ........ 47

## დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. დახმარების მოცულობა 2015-2018 წლებში ... 8
დიაგრამა 2. ODA-ს წილი დახმარების ტიპების მიხედვით ... 9
დიაგრამა 3. გრანტებისა და სესხების მოცულობა ... 9
დიაგრამა 4. დონორების უწყვეტი ორმხრივი და მრავალმხრივი დახმარების მთლიანი მოცულობა 2018 წელს ... 14
დიაგრამა 5. ათი უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპების მიხედვით ... 15
დიაგრამა 6. უმსხვილესი კრედიტორები 31.12.2018-ის მდგომარეობით (კაპიტალი, ათასობით აშშ დოლარში) ... 16
დიაგრამა 7. თემატური ჯგუფების მიხედვით გამოყოფილი მთლიანი დახმარების ნაკადები ... 17
დიაგრამა 8. თემატური ჯგუფების მიხედვით გამოყოფილი მთლიანი დახმარების ნაკადები ... 20
დიაგრამა 9. უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით „ეკონომიკური ზრდის“ ქვესექტორში ... 20
დიაგრამა 10. სოფლის მეურნეობის ქვესექტორში გაწეული დახმარების წილი დონორების მიხედვით ... 21
დიაგრამა 11. დახმარების წილი ქვესექტორების მიხედვით (ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება) ... 23
დიაგრამა 12. უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით ... 23
დიაგრამა 13. უმსხვილესი დონორები ... 24
დიაგრამა 14. უმსხვილესი დახმარება მოცულობის მიხედვით (სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ... 25
დიაგრამა 15. დახმარების წილი განათლების სექტორში ... 26
დიაგრამა 16. უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით ... 28
დიაგრამა 17. განვითარების ოფიციალური დახმარება 2015-2018 წლებში ... 30
დიაგრამა 18. მრავალმხრივი დახმარების გამწევი უმსხვილესი დონორები მოცულობის მიხედვით (2015-2018) ... 30
დიაგრამა 19. უმსხვილესი ორმხრივი დონორები მოცულობის მიხედვით (2015-2018 წლებში) .. 31
დიაგრამა 20. ხუთი უმსხვილესი დონორის მიერ გაწეული დახმარება (2018 წლის მდგომარეობით) ... 31
დიაგრამა 21. დახმარების ტიპები (2015-2018 წლებში) ... 32
დიაგრამა 22. დახმარება თემატური ჯგუფების მიხედვით 2015-2018 წლებში ... 33

## ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. 2018 წლის ათი უმსხვილესი დონორი მოცულობის მიხედვით ... 12
ცხრილი 2. ომხრივი დონორები, რომელთა დახმარება არის მხოლოდ არაანაზღაურებადი (ლარი) ... 16
ცხრილი 3. დახმარების მრავალფეროვნება (ლარი) ... 17
ცხრილი 4. ფინანსური ასიგნებების შედარება ... 18
ცხრილი 5. უმსხვილესი დონორები ქვესექტორების მიხედვით (ეკონომიკური ზრდა) ... 21
ცხრილი 6. სოციალური კეთილდღეობისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების ქვესექტორები ... 26
ცხრილი 7. დახმარება ქვესექტორების მიხედვით (დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა) ... 28
ცხრილი 8. დახმარება „სხვა დახმარების ნაკადების“ სექტორში ... 29
ცხრილი 9. ორმხრივი დონორები, რომლებიც დახმარებას მხოლოდ გრანტების ან ტექნიკური დახმარების სახით ახორციელებენ ... 32

## აკრონიმების ჩამონათვალი

AA – ასოცირების შეთანხმება

ADA – ავსტრიის განვითარების სააგენტო

ADB – აზიის განვითარების ბანკი

AFD – საფრანგეთის განვითარების სააგენტო (Agence Française de Développement)

AGWP – მთავრობის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა

AIIB – აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი

AoG – მთავრობის ადმინისტრაცია

BAU – ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი რეჟიმი

BDD – ძირითადი მონაცემები და მიმართულებები

CoE – ევროპის საბჭო

CRS – კრედიტორთა ანგარიშვალდებულების სისტემა

CRPD – გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ

DAC – საგარეო დახმარების კომიტეტი

DCFTA – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე

DCU – დონორების კოორდინაციის სამმართველო

eAIMS – დახმარების შესახებ ინფორმაციის მართვის ელექტრონული სისტემა

EBRD – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

EG – ეკონომიკური ზრდა

EIB – ევროპის საინვესტიციო ბანკი

ENPARD – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა

EU – ევროკავშირი

EUR – ევრო

GDP – მთლიანი შიდა პროდუქტი

GEF –გარემოს დაცვის გლობალური ფონდი

GEL – ქართული ლარი

GG – დემოკრატიული მმართველობა

GHG – სასათბურე აირები

GoG – საქართველოს მთავრობა

HCD – ადამიანური კაპიტალის განვითარება

IFC – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

IFIs – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები

IMF – საერთაშორისო სავალუტო ფონდი

INDC – ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუცია

IOM – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

KfW – საკრედიტო ინსტიტუტი აღმშენებლობისთვის
LEPL – საჯარო სამართლის იურიდიული პირი
NATO – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
NBSAP – ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
ODA – ოფიციალური დახმარება, რომელიც ემსახურება განვითარებას
OECD – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PA – საჯარო მმართველობა
PAR – საჯარო მმართველობის რეფორმა
PFM – საჯარო ფინანსების მართვა
PLN – პოლონური ზლოტი
RDP – რეგიონული განვითარების პროგრამა
RLJ – კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება
SDC – შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო
SDG – მდგრადი განვითარების მიზნები
SEK – შვედური კრონა
Sida – შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
SMEs – მცირე და საშუალო ზომის საწარმოები
SNR – ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება
TA – ტექნიკური დახმარება
TSA – მიზნობრივი სოციალური დახმარება
UK – გაერთიანებული სამეფო
UN – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა
UNFAO – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
UNFCCC – გაეროს კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ
UNFPA – გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNHCR –გაეროს უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა საკითხებში
UNICEF – გაეროს ბავშვთა ფონდი
USA – ამერიკის შეერთებული შტატები
USAID – აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
USD – აშშ დოლარი
VNR – ეროვნული ნებაყოფლობითი ანგარიში
WHO – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

## პრემიერ-მინისტრის წინასიტყვაობა



საქართველოს 2018 წლის საგარეო დახმარების ყოველწლიური ანგარიში მიმოიხილავს საერთაშორისო პარტნიორებისა და მეგობრების მიერ ჩვენი ქვეყნისათვის გაწეულ დახმარებას, რამაც მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების შესაძლებლობა მოგვცა.

საქართველო განაგრძობს ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას და რთულ რეგიონში სტაბილურობისა და წინსვლის მაგალითია. საქართველოს წარმატება სამ ძირითად მიმართულებას ეფუძნება, რაზეც უნდა დაშენდეს ჩვენი სახელმწიფო. ესენია: სოციოეკონომიკური განვითარება, დემოკრატია და უსაფრთხოება. ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით, ბოლო წლებში ხელშესახებ პროგრესს მივაღწიეთ. თუმცა, რეფორმების პარალელურად, კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება უსაფრთხოება, რის უზრუნველყოფაშიც ჩვენი დასავლელი პარტნიორების დახმარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი მთავრობის რეფორმების უმთავრესი პრიორიტეტი თითოეული მოქალაქისათვის კონკრეტული და ხელშესახები შედეგების მოტანაა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საგარეო დახმარება სრულად შეესაბამებოდეს ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

საგარეო დახმარებით განხორციელებული ფართომასშტაბიანი რეფორმების გზით, ჩვენ გავზარდეთ ინსტიტუტების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, გარდავქმენით მართლმსაჯულების სისტემა და განვამტკიცეთ კანონის უზენაესობა. საქართველოს საერთაშორისო რეიტინგები თითქმის ყოველწლიურად უმჯობესდება ეკონომიკური თავისუფლების, ბიზნესის კეთების სიმარტივის, კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლის, მედიის თავისუფლებისა და სხვა მრავალი მიმართულებით.

საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნების ერთგულია. ჩვენ წარმატებით ვახორციელებთ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგს, რომელიც ქვეყნის შიდა პოლიტიკასა და სისტემურ რეფორმებს განსაზღვრავს. საქართველო ასევე ლიდერია გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის ნაციონალიზაციაში. მის ფარგლებში, აქტიურად ვმუშაობთ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა თითოეულ მოქალაქეს უფრო სტაბილური და უკეთესი მომავალი შევუქმნათ. საქართველო წარმატებით განაგრძობს მდგრადი განვითარების მიზნების (მგმ) საშინაო პოლიტიკაში დანერგვასა და განვითარების საჭიროებებზე მორგებას.

ქვეყნის განვითარების პარალელურად, გრძელდება ინვესტიციების მოზიდვა. საკვანძო ადგილმდებარეობის გამო, საქართველოს ოდითგანვე წამყვანი გეოსტრატეგიული როლი ჰქონდა რეგიონში. ბოლო ათწლეულებში საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან სატრანზიტო და ენერგეტიკულ დერეფნად იქცა. ჩვენ მიერ განხორციელებული რეფორმები შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში საქართველოს მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად ჩამოყალიბების წინაპირობას ქმნის. მიმზიდველი

ადგილმდებარეობისა და ბიზნესგარემოს გათვალისწინებით, საქართველოში ყველა წინაპირობაა ბიზნესის განვითარებისათვის, რაც მომგებიანია როგორც ჩვენი ქვეყნისა და მისი მოქალაქეების, ასევე უცხოური კომპანიებისთვისაც, რადგან მათ ფართო რეგიონზე წვდომას ვთავაზობთ.

ჩვენს წარმატებაში ჩვენი პარტნიორებისა და მეგობრების როლი გადამწყვეტია. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობისა და მოქალაქეების სახელით, მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში.

***გიორგი გახარია***



## მოკლე მიმოხილვა

2018 წლის წლიური ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას საერთაშორისო პარტნიორების მიერ 2018 წელს საქართველოსთვის გაწეული დახმარების შესახებ. წინამდებარე ანგარიშში განხილულია საქართველოსთვის გაწეული დახმარება ექვს თემატურ ჯგუფად: ეკონომიკური ზრდა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება, დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება. მთლიანობაში, საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო დახმარება შეესაბამება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების პრიორიტეტებს.

2018 წელს მიმდინარე კუმულაციური დახმარება თითქმის 13%-ით აღემატება გასული წლის დახმარებას (დიაგრამა 1).




*დიაგრამა 1. დახმარების მოცულობა 2015-2018 წლებში*

აქვე უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- დაფინანსება გაიზარდა ყველა თემატურ ჯგუფში. დაფინანსება „სოციალური კეთილდღეობის“ ჯგუფში გაიზარდა 34.3%-ით. ეს კი ზრდის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია;
- საინვესტიციო პროექტები და სესხები მთლიანობაში მთელი დაფინანსების დაახლოებით 73.6%-ს შეადგენს; გრანტები და ტექნიკური დახმარება – 18.8%-ს, საბიუჯეტო დახმარება (გრანტები და სესხები) – 7.6%-ს (დიაგრამა 2);
- მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტების დახმარების ძირითადი ნაწილი საინვესტიციო პროექტებსა და სესხებზე მოდის;
- ორმხრივი დონორების დახმარების უდიდესი წილი გრანტებსა და/ან ტექნიკურ დახმარებაზე მოდის. თუმცა ზოგიერთი ორმხრივი დონორი, მაგალითად, გერმანია, აშშ, შვედეთი და ნიდერლანდები, ასევე აფინანსებენ საინვესტიციო პროექტებს.




*დიაგრამა 2. ODA-ს წილი დახმარების ტიპების მიხედვით*




*დიაგრამა 3. გრანტებისა და სესხების მოცულობა*[1]

[1] ამ დიაგრამაზე „გრანტები“ მოიცავს გრანტებს, ტექნიკურ დახმარებას, საბიუჯეტო დახმარების გრანტებსა და ჰუმანიტარულ დახმარებას; „სესხები“ მოიცავს საინვესტიციო პროექტებს და ბიუჯეტის დახმარების სესხებს.

## შესავალი – მიზანი და მეთოდოლოგია

ამ ანგარიშის მიზანია, დაგვანახოს საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოსთვის 2018 წელს გაწეული მიმდინარე კუმულაციური დახმარების მთლიანი სურათი. ანგარიში ასევე მიზნად ისახავს, ერთმანეთს დაუკავშიროს მთავრობის რეფორმების დღის წესრიგი, „პარიზის დეკლარაციის" პრინციპების შესაბამისად, და მიღებული დახმარება[2]. ამ ანგარიშში ასევე განხილულია მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის თვალსაზრისით საქართველოს მთავრობის მიერ გაწეული ძალისხმევა (იხ. 1-ელ თავში მოცემული ჩარჩო).

ანგარიში ეფუძნება e-AIMS მონაცემთა ბაზაში[3] არსებულ მონაცემებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მონაცემთა ბაზას მართავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დონორთა კოორდინაციის განყოფილება და ასახავს საერთაშორისო პარტნიორების მიერ ნებაყოფლობით შეყვანილ მონაცემებს (როგორც წესი, კალენდარული წლის ბოლოს). მონაცემთა ბაზა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, მოიძიონ და ამოიღონ უახლესი სტატისტიკური მონაცემები დონორების, პროექტების ტიპების, ხანგრძლივობის, განმახორციელებელი პარტნიორებისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. e-AIMS სისტემის დიზაინი შეიცვალა და 2019 წლის ანგარიში დაფუძნებული იქნება განახლებულ სისტემაზე.

ანგარიშში მოყვანილი ყველა ძირითადი მონაცემი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. რეგისტრირებულ მომხმარებლებს კი სისტემა სთავაზობს ანალიტიკურ და ანგარიშგების ინსტრუმენტებს. მონაცემები e-AIMS მონაცემთა ბაზაში შეყვანილია იმ ვალუტაში, რომელშიც განხორციელდა დახმარება (მაგ.: ევრო, შვედური კრონა, პოლონური ზლოტი), თუმცა ანალიტიკური მიზნებისთვის ისინი გადაყვანილია აშშ დოლარსა და ქართულ ლარში. უკლებლივ ყველა თანხა ავტომატურად კონვერტირდება ქართულ ლარსა და აშშ დოლარში, პროგრამის ან პროექტის განხორციელების დაწყების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ამ ანგარიშის მიზნებისთვის ყველა ფინანსური ნაკადი გამოსახულია ქართულ ლარში.

ეს ანგარიში ყურადღებას ამახვილებს ორმხრივი და მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტების მიერ გაწეულ განვითარების ოფიციალურ დახმარებაზე და იყენებს განვითარების დახმარების კომიტეტის სტატისტიკური ანგარიშგების დირექტივების[4] განმარტებას. ფინანსური მონაცემები მოიცავს 2018 წელს მიღებულ მიმდინარე კუმულაციურ დახმარებას (ODA).

ეს ანგარიში მოამზადა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა

---

[2] სრულ თანხმობაშია OECD-ის მიერ გაწეულ სამუშაოსთან ახალი ღონისძიებების – მთლიანი ოფიციალური დახმარება მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (TOSSD) – შესამუშავებლად, რათა ხელი შევუწყოთ განვითარების ოფიციალური და სრული ფინანსური მხარდაჭერის უფრო მეტ გამჭვირვალობას 2030 წლის დღის წესრიგის მხარდასაჭერად იმ რესურსების ჩათვლით, რომლებიც გამოიყო სამხრეთ-სამხრეთისა და სამკუთხა თანამშრომლობის ფარგლებში მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტებისა და ასევე ახალი და ტრადიციული დონორების მიერ. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: http://oe.cd/tossd

[3] სისტემა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის დონორთა კოორდინაციის სამმართველოს, ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის კვლევებისა და სისტემების ანალიზის დეპარტამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის ერთობლივ პროდუქტს. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: www.eaims.ge

[4] http://www.oecd.org/dac/financing-sustainable-development/development-finance-standards/DCDDAC(2016)3FINAL.pdf

და კოორდინაციის დეპარტამენტის დონორთა კოორდინაციის სამმართველომ, რათა ხელი შეუწყოს გაწეული დახმარების ეფექტურობას, რაც გულისხმობს გაძლიერებულ ეროვნულ პატრონაჟს და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, გაუმჯობესებულ ანგარიშვალდებულებას და ეფექტიანობას. დონორთა კოორდინაციის განყოფილება არის მთავრობის ადმინისტრაციის ერთეული, რომლის მანდატია დახმარების კოორდინაციის უფრო ეფექტიანი მექანიზმებისა და საქმიანობის განხორციელება, რაც შეთანხმებული იქნება დონორ პარტნიორებთან.

ეს ანგარიში შედგება სამი ძირითადი თავისგან:

**პირველი თავი:** ზოგადი ინფორმაცია და საქართველოსთვის გაწეული მიმდინარე დახმარების მოკლე მიმოხილვა.

**მეორე თავი:** მიმდინარე რეფორმის 6 თემატური ჯგუფის ანალიზი და დონორთა მიერ გაწეული დახმარების დეტალური აღწერა. ეს ექვსი პრიორიტეტული/თემატური ჯგუფი შეირჩა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის მიერ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა და/ან ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში მათი მნიშვნელობის მიხედვით. თითოეულ პრიორიტეტულ/თემატურ ჯგუფს ახლავს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვესექტორების ჩამონათვალი (CRS-ის ხუთციფრიანი მიზნობრივი კოდები) განვითარებაზე ორიენტირებული დახმარების სწორი კვალიფიკაციისთვის[5]. ეს სფეროებია: ეკონომიკური ზრდა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, სოციალური კეთილდღეობა, ადამიანური კაპიტალის განვითარება, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება. ამ ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე, ზოგიერთი სფერო გაერთიანებულია – „სოციალური კეთილდღეობა“ და „ადამიანური კაპიტალის განვითარება“ ერთად არის წარმოდგენილი; ასევე გაერთიანებულია „დემოკრატიული მმართველობა“ და „კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება”. ის დახმარება, რომლის კლასიფიცირებაც ვერ ხერხდება აქ ჩამოთვლილ ექვს სფეროში, შეტანილია ცალკე ჯგუფში სახელწოდებით „სხვა“.

**მესამე თავი:** 2015-2018 წლებში გაწეული დახმარების შედარება დონორების, დახმარების ტიპებისა და თემატური ჯგუფების მიხედვით.

[5] სექტორის ჩაშლა თითოეული თემატური სფეროს მიხედვით მოცემულია 1-ელ დანართში.

# თავი 1. მთლიანი სურათი: მოკლედ დახმარების შესახებ

2018 წელს, წინა წლების მსგავსად, საქართველოს მთავრობა ცდილობდა, დაეჩქარებინა ევროატლანტიკური ინტეგრაცია და მიეღწია მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საგარეო დახმარების კოორდინაციის წესი[6], რომელმაც შექმნა მექანიზმები და ინსტრუმენტები განვითარების ოფიციალურ დახმარებაზე მთავრობის მხრიდან პატრონაჟისა და პასუხისმგებლობის განცდის გაზრდის მიზნით. საქართველოს მთავრობა ასევე ცდილობს, დახმარების ეფექტიანობის საერთაშორისო პრინციპების დაცვით გააძლიეროს ურთიერთანგარიშვალდებულებისა და დონორების დახმარების სახელმწიფო პრიორიტეტებთან ჰარმონიზაციის მექანიზმები და ინსტრუმენტები. პროცესს უძღვება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დონორთა კოორდინაციის დეპარტამენტი. OECD პრინციპების გათვალისწინებით, შეირჩა ექვსი თემატური ჯგუფი მათი საქმიანობის კოორდინაციისა და ანგარიშგების რაციონალიზაციის მიზნით.

2018 წელს საქართველომ კვლავ განაგრძო 2030 წლის დღის წესრიგის დანერგვასა და ეროვნული განვითარების მიზნების დასახვაზე მუშაობა მდგრადი განვითარების ყოვლისმომცველი ქოლგის შესაქმნელად.

2018 წელს გასულ წელთან შედარებით განვითარების ოფიციალური დახმარების ზრდამ 12.9% შეადგინა. ზრდა დაფიქსირდა ყველა თემატურ ჯგუფში, გარდა „სხვა დახმარების“ კატეგორიისა (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 3). ათი უმსხვილესი დონორის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება მთლიანი დახმარების 94.6%-ია[7]. როგორც ეს 1-ელი ცხრილიდანაც ჩანს, დახმარების უდიდესი წილი მრავალმხრივი დახმარების გამწევ ორგანიზაციებზე მოდის.

| დონორი | თანხა ლარში | თანხა აშშ დოლარში | წილი |
|---|---|---|---|
| ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | 3,597,813,991.70 | 1,593,682,046.97 | 24.80% |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 3,122,117,718.00 | 1,515,290,000.00 | 21.52% |
| გერმანია | 1,749,483,534.72 | 753,861,482.54 | 12.06% |
| მსოფლიო ბანკი | 1,643,423,174.40 | 814,149,680.00 | 11.33% |
| ევროპის კავშირი (EU) | 1,624,416,343.06 | 691,476,999.51 | 11.20% |
| ამერიკის შეერთებული შტატები | 836,751,391.12 | 413,452,150.93 | 5.77% |
| საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) | 653,471,332.72 | 373,506,316.00 | 4.50% |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 627,324,590.00 | 272,033,374.66 | 4.32% |
| საფრანგეთი | 373,116,212.86 | 140,747,716.45 | 2.57% |
| აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი | 278,160,000.00 | 114,000,000.00 | 1.92% |
| **მთლიანობაში ათი უმსხვილესი დონორი** | **14,506,078,288.58** | **6,682,199,767.06** | **100%** |

*ცხრილი 1. 2018 წლის ათი უმსხვილესი დონორი მოცულობის მიხედვით*

6 მთავრობის ბრძანებულება №238, 1 ივნისი, 2015.
7 14.5 მილიარდი ლარი, ჯამური 15.3 მილიარდი ლარიდან.

მიმდინარე დახმარების მთლიანი მოცულობა ყველა წყაროდან (OECD განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის წევრები, განვითარების ხელშემწყობის კომიტეტის არაწევრი პროვაიდერები და მრავალმხრივი დახმარების გამწევი სააგენტოები) შეადგენს 15.3 მილიარდ ლარს (7 მილიარდი აშშ დოლარი). გაცვლითი კურსი ქართულ ლარსა და აშშ დოლარს შორის გამოანგარიშებულია მიმდინარე პროექტის დაწყების დღიდან და არა მიმდინარე გაცვლითი კურსით. მთლიანი დახმარების მონაცემები მიმდინარე დახმარებისთვის ამ ანგარიშში ასახულია, როგორც მრავალწლიანი საბიუჯეტო ასიგნებების ჯამი, რომელშიც ჩანს დონორების მიერ საწყის ეტაპზე პროექტებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ჯამური ოდენობა.

საქართველოსთვის გამოყოფილი ორმხრივი განვითარების ოფიციალური დახმარების უდიდესი წილი მოდის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრებზე, რომლებიც შეადგენენ განვითარების ხელშემწყობ კომიტეტს[8].

საქართველო და მდგრადი განვითარების მიზნები

საქართველომ სრულად გაითავისა მდგრადი განვითარების მიზნების კონცეფციის არსი და ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 2016 წელს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (HLPF) ეროვნული ნებაყოფლობითი ანგარიში (VNR) წარმოადგინა.

მას შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მდგრადი განვითარების მიზნების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით. 2017 წლის მაისში შეიქმნა მდგრადი განვითარების საბჭო და ამოქმედდა ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი: (1) სოციალური ინკლუზიის, (2) ეკონომიკური განვითარების, (3) დემოკრატიული მმართველობისა და (4) მდგრადი ენერგიისა და გარემოს დაცვის მიმართულებით მდგრადი განვითარების მიზნებისა და მათთან დაკავშირებული თემატური დარგების სტრატეგიული დაგეგმვის, ინტეგრირებული დანერგვისა და ეფექტური მონიტორინგის მიზნით. 2016 წელს მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა ევროკავშირის მდგრადი განვითარების 17 მიზნის ეროვნულ დონეზე დასანერგად. სამიზნე ინდიკატორები გაიწერა ეროვნული კონტექსტის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების ჩარჩო დოკუმენტში.

საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს იმ სტრუქტურებისა და პლატფორმების განვითარებაზე, რომლებიც საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების პროცესში ჩართულ სამთავრობო უწყებებსა და ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანოს შორის ჯეროვან თანამშრომლობასა და პარტნიორობას შესაძლებელს გახდის.

როგორც მონაცემთა შექმნის, ასევე მათი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით სტატისტიკის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, სექტორული დოკუმენტის სახით შეემუშავებინა სტატისტიკის განვითარების სტრატეგია. ამ პროცესის მიზანია არსებული გამოწვევებისა და პრობლემური საკითხების განსაზღვრა და ინტერვენციის ლოგიკის შემუშავება, რაც მორგებული იქნება როგორც სისტემის, ასევე მდგრადი განვითარების მიზნების საჭიროებებზე.

---

8 მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი განვითარების დახმარების კომიტეტის სრული წევრია, სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, განვითარების დახმარების კომიტეტის პუბლიკაციებში მას ხშირად მრავალმხრივი დახმარების გამწევ ორგანიზაციად წარმოადგენენ. ეს ანგარიშიც ასახავს ამ დიქოტომიას.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ ახლახან წარმოადგინა დონორთა კოორდინაციის მექანიზმის გამართვის სამომავლო მონახაზი, რომელსაც ასევე თან ერთვის წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტები და პროცესები, რომლებიც სრულებით შეესაბამება პარიზის დეკლარაციით განსაზღვრული დახმარების ეფექ-ტიანობის 5 პრინციპსა და 12 ინდიკატორს. შემოთავაზებული მოდელით გათვა-ლისწინებულია, რომ ცენტრალურმა საკოორდინაციო ორგანომ, დონორების კოორ-დინაციის სამმართველომ (DCU), ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ შინაარსობრივი დახმარებაც, რა დროსაც ის მნიშვნელოვან აქცენტებს დასვამს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე.

2018 წელს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მზადყოფნის ეფექტიანობის აუდიტი" (https://sao.ge/audit/audit-reports). ანგარიში გამოქვეყნდა 2019 წლის თებერვალში. მასში ხაზგასმით აღნიშნულია საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეული პროგრესი, თუმცა ის ასევე იძლევა შვიდ რეკომენდაციას სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა: სამუშაო პროცესების გაუმჯობესების საკითხები, თემატური ჯგუფების მუშაობა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების პროცესში ადგილობრივი სახელმწიფო უწყებებისა და ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანოს ჩართვა. ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად აუცილებელი რესურსების მოცულობის შეფასება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში განხილული რეკომენდაციების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა.

საქართველოსთვის გამოყოფილი ორმხრივი დახმარების წილი განვითარებისთვის გამოყოფილი მთლიანი დახმარების 24%-ს შეადგენს. მრავალმხრივი დახმარების წილი კი 76%-ია. 2018 წელს საქართველოს უმსხვილესი ორმხრივი დახმარების გამწევი ქვეყნებია: გერმანია, აშშ და საფრანგეთი – ჯამში ორმხრივი დახმარების 80%-ით (გერმანია – 47%, აშშ – 23% და საფრანგეთი – 10%). წინა წლების მსგავსად, ჯამური მრავალმხრივი დახმარების 86%-ზე მეტი მოდის ევროპის საინვესტიციო ბანკზე (31%), აზიის განვითარების ბანკზე (27%), მსოფლიო ბანკსა (14%) და ევროკავშირზე (14%).




*დიაგრამა 4. დონორების უწყვეტი ორმხრივი და მრავალმხრივი დახმარების მთლიანი მოცულობა 2018 წელს*

ამ ანგარიშში წარმოდგენილი განვითარებისთვის განკუთვნილი დაფინანსება მოიცავს:

1. გრანტებს (ფულადი ან არაფულადი დახმარება, რომლის საფუძველზეც ფინანსური ვალდებულება არ წარმოიშობა);
2. ტექნიკურ დახმარებას (საქმიანობა ძირითადად მიმართულია ადამიანურ რესურსებზე/ნოუ-ჰაუს მიწოდებაზე, კადრების, გადამზადების (ტრენინგების), კვლევებისა და მათთან დაკავშირებული საჭიროებების უზრუნველყოფაზე);
3. სესხებს (განვითარებასთან დაკავშირებული ტრანსფერები კერძო სექტორის ჩათვლით, რაც გულისხმობს სესხის გამცემისთვის დაბრუნების ვალდებულებას);
4. საბიუჯეტო დახმარებას – გრანტებს (ხაზინისთვის გადარიცხული არაანაზღაურებადი სახსრები ეროვნული საბიუჯეტო პროცედურების დაცვით წარმართული პროგრამებისა და პროექტების დასაფინანსებლად);
5. საბიუჯეტო დახმარებას – სესხებს (ხაზინისთვის გადარიცხული სახსრები, რომლებიც სამართლებრივად წარმოშობს ვალს);
6. საინვესტიციო პროექტებს (საქმიანობები, რომელთა მიზანია მიმღების ფიზიკური კაპიტალის გაზრდა[9]).

მე-5 დიაგრამაზე წარმოდგენილია ათი უმსხვილესი დონორი და მათ მიერ გაწეული დახმარების ტიპები. დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ მრავალმხრივი დახმარების გამწევი დონორები ძირითადად გასცემენ სესხებს ან ახორციელებენ საინვესტიციო პროექტებს. გერმანიის მიერ გაცემული დახმარების უმსხვილესი ნაწილი კი საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად გამოიყო.




*დიაგრამა 5. ათი უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპების მიხედვით*

[9] განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის (DAC) სტატისტიკური მონაცემების ანგარიშგების დირექტივები (OECD).

იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველომ საშუალოშემოსავლიანი ქვეყნის[10] სტატუსი შეიძინა, გასაკვირი არ არის, რომ ფინანსური ნაკადების უდიდესი წილი სესხებსა და საინვესტიციო პროექტებზე მოდის. საქართველოს მთავრობა ამ საკითხს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება და სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით შეიმუშავა სახელმწიფო მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2019-2021 წლებისთვის. 2019 წლის 31 მარტისთვის სახელმწიფო საგარეო ვალმა მშპ-ის 34.2% შეადგინა (მთლიანი სახელმწიფო საგარეო ვალიდან, რაც მშპ-ის 42.2%-ია[11]). ქვემოთ ნაჩვენებია უმსხვილესი კრედიტორები[12].




*დიაგრამა 6. უმსხვილესი კრედიტორები 31.12.2018-ის მდგომარეობით (კაპიტალი, ათასობით აშშ დოლარში)*

ბევრი ორმხრივი დონორი თავისი დახმარების 100%-ს გრანტების, ტექნიკური დახმარებისა და საბიუჯეტო დახმარების ფორმით ახორციელებს. 2018 წელს ამ სახის დახმარებამ 247.8 მილიონი ლარი შეადგინა.

| დონორი | გრანტი | ტექნიკური დახმარება | საბიუჯეტო დახმარება (გრანტი) | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 96,674,758.10 | - | - | 96,674,758.10 |
| დანია | 59,872,020.00 | 16,776,400.00 | - | 76,648,420.00 |
| გაერთიანებული სამეფო | 4,683,299.16 | 41,488,565.49 | 162,237.72 | 46,334,102.37 |
| ჩეხეთის რესპუბლიკა[13] | 13,254,733.6 | 157,505.37 | - | 13,412,238.97 |
| ესტონეთი | 1,089,681.00 | 5,163,222.87 | - | 6,252,903.87 |
| პოლონეთი | 3,441,813.27 | - | 588,542.45 | 4,030,355.72 |
| ნორვეგია | - | 2,169,701.30 | - | 2,169,701.30 |
| ბულგარეთი | 481,342.95 | 539,151.31 | - | 1,020,494.26 |
| იტალია | 437,700.00 | - | - | 437,700.00 |
| ლიეტუვა | 52,887.00 | 192,138.00 | - | 245,025.00 |
| თურქეთი | - | 212,040.00 | - | 212,040.00 |
| სლოვაკეთი | - | 171,213.00 | 40,247.70 | 211,460.70 |
| ლატვია | - | 202,089.00 | - | 202,089.00 |
| **ჯამი** | **174,185,408.94** | **67,072,026.34** | **6,593,854.01** | **247,851,289.29** |

*ცხრილი 2. ორმხრივი დონორები, რომელთა დახმარება არის მხოლოდ არაანაზღაურებადი (ლარი)*

[10] https://blogs.worldbank.org/opendata/new-country-classifications-income-level-2019-2020
[11] საქართველოს მთავრობის ანგარიში პარლამენტს – სექტემბერი 2018 – მარტი 2019.
[12] https://mof.ge/en/5160
[13] ჩეხეთის რესპუბლიკიდან მიღებული დამატებითი მონაცემები აჩვენებს საქართველოსთვის 2018 წელს გაწეულ დახმარებას, რაც 14,068,683.41 ლარს შეადგენს გრანტების სახით, 1,156,342.50 ლარი კი ტექნიკური დახმარებისთვის არის გამოყოფილი.

რამდენიმე დონორი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის დახმარებას. მათ შორის პირველ ადგილზე არიან გერმანია და საფრანგეთი, როგორც ერთადერთი ორმხრივი დახმარების დონორები, რომელთა დახმარებაც მოიცავს მხოლოდ საბიუჯეტო დახმარებას სესხების სახით. საფრანგეთი ასევე გვაწვდის ჰუმანიტარულ დახმარებას. ევროკავშირი, გერმანია, აშშ, შვედეთი და ნიდერლანდები დახმარებას ახორციელებენ საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად და ასევე – გრანტებსა და ტექნიკურ დახმარებას. ავსტრია და იაპონია გასცემენ მცირე მოცულობის სესხებს (იხ. მე-3 ცხრილი).

| დონორი | საინვესტიციო პროექტი | სესხი | გრანტი | ტექნიკური დახმარება | საბიუჯეტო დახმარება (სესხი) | საბიუჯეტო დახმარება (გრანტი) | ჰუმანიტარული დახმარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1,232,415,672.00 | - | 178,532,489.15 | 189,413,673.57 | 149,121,700.00 | - | - |
| ევროკავშირი | 41,990,000.00 | - | 567,093,793.87 | 626,732,699.19 | 388,599,850.00 | - | - |
| აშშ | 111,230,442.43 | - | 305,437,418.26 | 418,462,585.43 | - | 1,620,945.00 | - |
| საფრანგეთი | - | - | 294,955.70 | 1,655,257.16 | 367,570,000.00 | 1,395,000.00 | 2,201,000.00 |
| ავსტრია | - | 144,590,400.00 | 38,132,847.22 | 13,077,047.31 | - | - | - |
| შვედეთი | 11,680,000.00 | - | 160,406,289.17 | 13,083,040.00 | - | - | - |
| იაპონია | - | 95,697,000.00 | 4,028,851.18 | - | - | - | - |
| გაერთიანებული სამეფო | - | - | 4,683,299.16 | 41,488,565.49 | - | 162,237.72 | - |
| ნიდერლანდები | 281,079.43 | - | 9,134,533.82 | 979,739.60 | - | - | - |

*ცხრილი 3. დახმარების მრავალფეროვნება (ლარი)*

საქართველოს მთვრობის მიერ თემატური მიდგომის დასანერგად შერჩეული ექვსი თემატური ჯგუფი ასახულია მე-7 დიაგრამაზე და დეტალურად არის აღწერილი მე-2 თავში. ის დახმარება, რომელიც არ ექცევა ამ ექვს თემატურ ჯგუში, მოქცეულია „სხვა დახმარების ნაკადების“ კატეგორიაში, რომელშიც შედის მრავალსექტორული დახმარება, ადმინისტრაციული ხარჯები და საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირების ხარჯები.




*დიაგრამა 7. თემატური ჯგუფების მიხედვით გამოყოფილი მთლიანი დახმარების ნაკადები*

# თავი 2. დახმარება თემატური სფეროების მიხედვით

ეს ანგარიში მოიცავს თემატურ ჯგუფებს მათი დახმარების მოცულობის მიხედვით. ამ ანგარიშში წარმოდგენილია თითოეული მიმართულებით მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის მოკლე მიმოხილვა და გამოყოფილი დახმარების ანალიზი.

როგორც მე-7 დიაგრამიდან ჩანს, ექვსი თემატური ჯგუფი თანაბრად არ ფინანსდება. თემატური ჯგუფი „ეკონომიკური ზრდა“ მოიცავს 2018 წელს გამოყოფილი ყველა ფულადი ნაკადის 56.6%-ს, რომელსაც მოჰყვება „ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება“ (26%). ყველა სხვა სფერო ერთად შეადგენს მთელი დახმარების 17%-ზე ოდნავ მეტს. ფაქტობრივად, „ეკონომიკური ზრდის“ შემადგენელი ქვესექტორებისთვის გამოყოფილი დახმარება უფრო დიდია ან შეესაბამება „სოციალური კეთილდღეობის”, „დემოკრატიული მმართველობის“, „ადამიანური კაპიტალის განვითარებისა“ და „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებისთვის“ გამოყოფილ დახმარებას (იხ. ცხრილი 4).

| თემატური ჯგუფი | მოცულობა |
|---|---|
| საგზაო/სარკინიგზო ტრანსპორტი („ეკონომიკური ზრდის“ ქვესექტორი) | 5,964,846,505.00 ლარი |
| ყველა თემატური ჯგუფი გარდა „ეკონომიკური ზრდისა“ და „ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისა“ | 2,669,238,348.65 ლარი |
| კერძო სექტორის განვითარება („ეკონომიკური ზრდის“ ქვესექტორი) | 1,945,097,040.59 ლარი |
| წყალმომარაგება და კანალიზაცია („ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების“ ქვესექტორი) | 1,530,124,792.85 ლარი |
| ენერგეტიკული პოლიტიკა და ელექტროენერგიის წარმოება („ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების“ ქვესექტორი) | 1,622,716,540.01 ლარი |

*ცხრილი 4. ფინანსური ასიგნებების შედარება*

## ეკონომიკური ზრდა

2018 წელს საქართველოს მთავრობამ შეძლო მიეღწია 4.8%-იანი ზრდისთვის. ინფლაციამ ნახევარზე მეტით დაიკლო. ტურიზმისა და ექსპორტის სწრაფმა ზრდამ შეამცირა მიმდინარე ანგარიშების დეფიციტი. მოსალოდნელია, რომ 2019 წელს ზრდა 5.0%-მდე მოიმატებს[14]. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საქონლის ექსპორტი 23%-ით გაიზარდა, მაგრამ კვლავაც კონცენტრირებულია. საქონლის იმპორტი გაიზარდა 15%-ით, რადგან საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 11%-ით გაფართოვდა. ეს კი საზღვარგარეთიდან მიღებული გადარიცხვების 15%-იანმა და მომსახურების ანგარიშების შესამჩნევი გაუმჯობესების გამო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანმა ზრდამ[15] განაპირობა. საქართველოში წარმოებული საქონლის ექსპორტმა თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 2.297 მილიონ აშშ დოლარს[16] შეადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიიჩნევს, რომ კონტროლს დაქვემდებარებული ინფლაციისა და შემცირებული გარე ფაქტორების პირობებში საქართველოს ეკონომიკური განვითარება უახლოეს მომავალშიც გააგრძელებს ჯანსაღ ზრდას[17].

14 აზიის ეკონომიკური მიმოხილვა, 2019; აზიის განვითარების ბანკის ანგარიში.
15 https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview#3
16 საქართველოს მთავრობის ანგარიში პარლამენტს – 2018 წლის სექტემბერი – 2019 წლის მარტი.
17 https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2019/06/19/Georgia-Fourth-Review-Under-the-Extended-Fund-Facility-Arrangement-and-Request-for-47008

საქართველო კვლავ მაღალ პოზიციას ინარჩუნებს „ბიზნესის წარმოების ინდექსში“. 2018 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში მას მე-6 ადგილი ეკავა, მაშინ, როცა გასულ წელს ის მე-16 ადგილზე იყო[18]. ფრეიზერის ინსტიტუტი ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მაჩვენებლებით საქართველოს ყველაზე მაღალი შეფასების მქონე ქვეყნების სიაში სვამს[19]. საქართველოს მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს მცირე და საშუალო ბიზნესსაწარმოების განვითარების აუცილებლობას – 2018 წელს სააგენტომ „აწარმოე საქართველოში" 899 პროექტს გაუწია დახმარება, რომლებმაც საერთო ჯამში თითქმის 1,200 სამუშაო ადგილი შექმნეს, მთლიანობაში დაახლოებით 9000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა მხარდამჭერი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, ტურიზმის სფეროსა (სასტუმროები) და კინოინდუსტრიაში[20].

2018 წლის ივნისში საქართველომ დაამტკიცა მეორე მრავალსექტორული რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 წლებისთვის. პროგრამა საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წონასწორობის შენარჩუნებასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას[21]. ამ პროგრამის მთავარი ფოკუსი ქვეყნის ტერიტორიული ასპექტია, რაც რეგიონებთან დაკავშირებული ტერიტორიული განვითარების გეგმების მომზადებას და თბილისსა და ბათუმს გარეთ ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ახალი ცენტრების წარმოქმნას გულისხმობს.

საქართველოს 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და 2017-2020 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის დანერგვა ამჟამადაც მიმდინარეობს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA)[22] დაევალა რამდენიმე პროექტის დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნული სტრატეგიების მიზნების შესრულებას. მაგალითად, 2013-2018 წლებში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტმა 11,839 სესხი გასცა (რაც 533 მილიონ ლარზე მეტია) და შექმნა დაახლოებით 9,000 ახალი სამუშაო ადგილი; 34 საკვების გადამამუშავებელი საწარმო დაფუძნდა 2014-2018 წლებში გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის მხარდაჭერით; ამას გარდა, 2018 წელს შეიქმნა ფერმერთა რეესტრი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დახმარებისთვის სამიზნეების მოძიებას და ამ დარგში სტატისტიკის წარმოებასაც[23]. ასევე მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება მივიჩნიოთ 2017 წლის დეკემბერში მომზადებული და 2018 წელს ამოქმედებული სოფლის განვითარების სტრატეგია[24].

## საგარეო დახმარება:

eAIMS მონაცემების თანახმად, „ეკონომიკური ზრდის“ თემატური ჯგუფი საერთაშორისო დახმარების ყველაზე მსხვილი მიმღებია და მისი დახმარების აქტიური/მიმდინარე პორტფელი 8.6 მილიარდი ლარია (მთლიანი დახმარების 56.6%). ამ სექტორის უმსხვილესი დონორები არიან: ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და

---

18 https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/g/georgia/GEO.pdf
19 https://www.fraserinstitute.org/studies/economic-freedom-of-the-world-2018-annual-report
20 საქართველოს მთავრობის ანგარიში პარლამენტს – 2018 წლის სექტემბერი – 2019 წლის მარტი.
21 საქართველოს მთავრობის ანგარიში პარლამენტს – 2018 წლის სექტემბერი – 2019 წლის მარტი.
22 2019 წელს სააგენტოში ჩატარდა რეორგანიზაცია და მას ახლა ჰქვია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.
23 ყოველწლიური ანგარიში, APMA (2018).
24 ანგარიში ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ, 2019; ერთობლივი სამუშაო დოკუმენტი.

მსოფლიო ბანკი (WB), რომლებსაც მოჰყვება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და ევროკავშირი (EU).




*დიაგრამა 8. თემატური ჯგუფების მიხედვით გამოყოფილი მთლიანი დახმარების ნაკადები*

დახმარების გადანაწილება ამ სფეროში საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს ასახავს. დახმარების უდიდესი წილი (5.9 მილიარდი ლარი) მოდის საგზაო/სარკინიგზო ტრანსპორტზე, რომლის 92%-იც უზრუნველყოფილია მრავალმხრივი დახმარების გამწევი დონორების მიერ – EIB (42%), ADB (36%) და მსოფლიო ბანკი (14%). დახმარების მიმღების სიდიდის თვალსაზრისით ეკონომიკური ზრდის თემატურ ჯგუფში მეორე ადგილზეა კერძო სექტორი – დაახლოებით 1.9 მილიარდი ლარით. მე-5 ცხრილში მოცემულია ამ ორი სექტორის მხარდამჭერი უმსხვილესი დონორები.




*დიაგრამა 9. უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით „ეკონომიკური ზრდის“ ქვესექტორში*

| დონორი | საგზაო/სარკინიგზო ტრანსპორტი | კერძო სექტორის განვითარება |
|---|---|---|
| ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | 2,441,551,400.00 ლარი | 576,210,066.70 ლარი |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 2,169,336,125.00 ლარი | 4,792,848.00 ლარი |
| მსოფლიო ბანკი (WB) | 807,824,000.00 ლარი | 217,998,600.00 ლარი |
| აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) | 278,160,000.00 ლარი | – |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 67,977,900.00 ლარი | 236,335,200.00 ლარი |
| ევროკავშირი (EU) | 103,479,760.00 ლარი | 159,449,097.38 ლარი |
| ავსტრია | – | 132,161,218.13 ლარი |
| იაპონია | 95,697,000.00 ლარი | – |

*ცხრილი 5. უმსხვილესი დონორები ქვესექტორების მიხედვით (ეკონომიკური ზრდა)*

2018 წელს სასოფლო-სამეურნეო სექტორის დახმარება შემცირდა, მაგრამ მაინც აჭარბებს 400,000 ლარს. ამ დახმარების გამწევი უმსხვილესი დონორები აშშ და მსოფლიო ბანკი არიან.




*დიაგრამა 10. სოფლის მეურნეობის ქვესექტორში გაწეული დახმარების წილი დონორების მიხედვით*

## ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

„ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების“ თემატურ ჯგუფში შედის ენერგეტიკის, წყლის მართვის, გარემოსა და ნარჩენების მართვის საკითხები. მთავრობის პოლიტიკა ენერგეტიკის სფეროში მიზნად ისახავს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ მოამზადა ენერგეტიკული განვითარების გრძელვადიანი გეგმა 2030 წლისთვის, რომელმაც ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების ზრდასა და საზღვარგარეთიდან იმპორტირებული ენერგიის შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი[25]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯერ ისევ არ გააჩნია ენერგოეფექტურობის პოლი-ტიკის ჩარჩო, დონორების ხელმძღვანელობითა და მთავრობასთან თანამშრომლობით, რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა და ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმაც შეიქმნა.

2018 წლის მაისში საქართველომ შეიმუშავა გარემოს დაცვის მესამე ეროვნული სამოქმედო პროგრამა, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში ქვეყნის უმთავრესი სტრატეგიული დოკუმენტია და ამ სექტორის გრძელვადიან პრიორიტეტებსა და გეგმებს განსაზღვრავს. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველო განაგრძობს ევროკავშირთან დაახლოების პროცესს გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებით. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ნარჩენების მართვის სექტორი. ეს სექტორი იღებს ადეკვატურ რესურსებს სფეროს გაფართოებისა და სერვისების მოდერნიზაციის კუთხით, ასევე ტექნიკურ დახმარებას მუნიციპალური გეგმების დანერგვისა და სტრატეგიების მომზადებისთვის, რათა შემოღებულ იქნას „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებისა და ნარჩენების გადამუშავების რეგულაციები“. გრძელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება[26].

2018 წლის 1 ივლისს ამოქმედდა გარემოსდაცვითი შეფასების ინსტრუმენტი. სტრატეგიული დოკუმენტების მომზადების პროცესში იგი საჭიროებს გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, კულტურასა და მატერიალური მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების ანალიზს 12 სფეროში. მთავრობა ასევე მუშაობს კლიმატის ცვლილების სფეროში ინსტიტუციური მექანიზმის შექმნაზე[27].

## საგარეო დახმარება:

eAIMS-ის მონაცემთა ბაზის მიხედვით, „ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების“ თემატური ჯგუფი საერთაშორისო დონორების მიერ გაწეული დახმარების მეორე ყველაზე დიდი მიმღებია და მისი მთლიანი აქტიური/მიმდინარე დახმარება დაახლოებით 3.9 მილიარდ ლარს (მთლიანი დახმარების დაახლოებით 26%-ს) შეადგენს. დონორების დახმარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებთან შესაბამისობაშია, რაც ცხადად ჩანს მე-11 დიაგრამიდან. დახმარების უდიდესი წილი მოდის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემებზე, რასაც ენერგეტიკისა და ელექტროენერგიის გამომუშავების, ნარჩენების გადამუშავებისა და გარემოს დაცვის სექტორები მოჰყვება.

---

[25] საქართველოს მთავრობის ანგარიში პარლამენტს – 2018 წლის სექტემბერი – 2019 წლის მარტი.

[26] ანგარიში ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ, 2019; ერთობლივი სამუშაო დოკუმენტი.

[27] საქართველოს მთავრობის ანგარიში პარლამენტს – 2018 წლის სექტემბერი – 2019 წლის მარტი.




*დიაგრამა 11. დახმარების წილი ქვესექტორების მიხედვით (ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება)*

ამ თემატური ჯგუფის უმსხვილესი დონორები არიან: გერმანია (40%), აზიის განვითარების ბანკი (24%) და ევროპის საინვესტიციო ბანკი (15%). „ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების" თემატურ ჯგუფში განვითარების დახმარების უდიდესი წილი მოდის სესხებსა და საინვესტიციო პროექტებზე; თუმცა გარკვეული წილი ტექნიკურ დახმარებასა და გრანტებსაც უკავია.




*დიაგრამა 12. უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით*

ამ თემატურ ჯგუფში დიდი ხანია ლიდერობს გერმანია, ახალი სამგორის სამხრეთ თაღის საბადოზე გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობის პროექტით. ამავდროულად, ADB-სა და EIB-დან მიღებული დახმარება შემცირდა.




*დიაგრამა 13. უმსხვილესი დონორები*

## სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება

ამ ანგარიშში გაერთიანებულია სოციალური კეთილდღეობისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების თემატური ჯგუფები. ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროს შემადგენელი ნაწილია განათლების საკითხები, მაშინ, როცა ჯანდაცვის, დასაქმებისა და სოფლისა და ქალაქის განვითარების საკითხები სოციალური კეთილდღეობის სექტორს განეკუთვნება. ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების მიწოდება ყველა დონეზე (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი) მრავალი წელია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს[28]. გარდა ამისა, 2017 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის. ინკლუზიური განათლების სტრატეგიული დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმა 2018 წლის დასაწყისში დამტკიცდა[29].

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი კლების ტენდენცია შეიმჩნევა, უმუშევრობის დონე საქართველოში კვლავაც მაღალია (2018 წელს 12.7%-ს აღწევდა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით). მოსახლეობის დაახლოებით 20% კვლავაც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს[30]. 2018 წელს მოსახლეობის 11.9%-მა (თვიური საშუალო) მიიღო მიზნობრივი სოციალური დახმარება[31]; 97,127 **პირმა (თვიური საშუალო) კი ისარგებლა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით.**

**2018 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ", რომელიც დეტალურად აღწერს იმ საწარმოებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია რისკებისა და საფრთხისშემცველ, მძიმე სამუშაოსთან.**

---

[28] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2020.
[29] ანგარიში ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ, 2019; ერთობლივი სამუშაო დოკუმენტი,
[30] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done
[31] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1297

**კანონი უკვე აძლევს საშუალებას შრომის ინსპექტორის სამსახურს გაფრთხილების გარეშე შეამოწმოს საწარმოები**[32].

